ხელშეკრულება № 27

გამარტივებული შესყიდვის შესახებ

ჭიათურა 15 ოქტომბერი 2015წ.

1. ხელშეკრულების საერთო პირობები

1 .1 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების საერთო პირობებში.
1.2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.2.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მოლაპარაკების შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.
1.2.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის.
1.2.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში – „შემსყიდველი") – ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.2.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე, აწვდის საქონელს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.
1.2.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების მხარეები

2.1 ერთი მხრივ, **სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყემლოვანის საჯარო სკოლა სკოლა,** წარმოდგენილი დირექტორის რუსუდან ბიწაძის სახით (შემდგომში - "შემსყიდველი") და მეორე მხრივ ფიზიკური პირი ბადრი ჩაჩანიძე (პირადი №54001046177)
სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10.1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის №59 განკარგულების საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. **სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყემლოვანის საჯარო** სკოლა, სახელმწიფო ვაუჩერი (ორგანიზაციული კოდი -215606592 2014 წლის ასიგნების ფარგლებში, აფორმებს ხელშეკრულებას სსიპ ტყემლოვანის საჯარო სკოლის საპირფარეშოს გაწმენდით სამუშაოებზე და ფეკალის გატანაზე CPV 98300000

4. ობიექტის სტანდარტები შესყიდვის

4.1 ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონლის სპეციფიკაციები უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

5. ხელშეკრულების ღირებულება

5.1 ხელშეკრულების **საერთო ღირებულება 330 (სამასოცდაათი) ლარს.**
ლარს.
5.2 ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

6 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

6.1 მომსახურეობა განხორციელდება 2014 წლის განმავლობაში, შემსყიდველის მოთხოვნიდან 2 (ორი) კვირის ვადაში.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

7.2 შემსყიდველის მხრიდან სასაქონლო ზედნადებზე და/ან ანგარიშ-ფაქტურაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება ენიჭება სკოლის დირექტორს

8. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

8.1. „მიმწოდებელითან" ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად, უნაღდო ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში.
8.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი, წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და/ან სასაქონლო ზედნადები.
8.3 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება 7.2. პუნქტში განსაზღვრული პროცედურების დასრულების შემდეგ 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.
8.4 მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და/ან სასაქონლო ზედნადების გამოუწერლობის შემთხვევაში, არ მოხდება თანხის გადახდა.

9. მხარეთა უფლებები

9.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
9.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს თანხის დროული გადახდა.
9.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:
9.2.1. მოითხოვოს ხარისხიანი მომსახურეობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.
9.2.2 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორი

10. მხარეთა ვალდებულებები

10. **„მიმწოდებელი" ვალდებულია:**
10.1. დადგენილ ვადაში მოახდინოს სამუშაოს შესრულება
10.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
10.2. **„შემსყიდველი" ვალდებულია:**
10.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის" თანხის გადახდა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.
10.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთ

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.
11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

12.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
12.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.
13.2. მხარეებმა, სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია მიმართონ სასამართლოს.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

15. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

15.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

15.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები დაჯარიმდებიან ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით

15.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.4 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

16. ხელშეკრულების კონტროლი

16.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კონტროლის ჯგუფი.

16..2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლი.

16.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

16.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

16.5 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

17. ხელშეკრულების ენა

17.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

18. ხელშეკრულების შეწყვეტა

18.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

ა) სამუშაოს შესრულებით.

ბ) მხარეთა შეთანხმებით.

გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2014 წლის 30 ოქტომბრამდე

20. განსაკუთრებული პირობები

20.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 გვერდზე, 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

20.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ერთი ეგზემპლარი – „შემსყიდველთან".

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი“

ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. ტყემლოვანის
საჯარო სკოლა
მის: ჭიათურა სოფელი ტყემლოვანა
საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი BAGAGE22

ა/ა;**GE77BG0000000119252000** ს/კ 215606592

დირექტორი:
რუსუდან ბიწაძე

„მიმწოდებელი“

ბადრი ჩაჩანიძე

სს პრივატბანკი
ბანკის კოდი GAVOGE22
ა/ა GE66PT5325757301481398
პირადი № 54001046177